

შპს ნეოლაბი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება / კონსოლიდირებული

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით



საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	752 820	1 009 596
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		227 688	292 355
გადახდილი ავანსები	4	27 077	97 614
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	376 496	400 937
სულ მიმდინარე აქტივები		1 384 081	1 800 502
ძირითადი საშუალებები	6	5 646 295	5 905 209
გუდვილი		910 585	910 585
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 556 880	6 815 794
სულ აქტივები		7 940 961	8 616 296

ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		211 227	65 796
საგადასახადო ვალდებულებები		11 690	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1 715	423
გადასახდელი დივიდენდი	7	0	0
სულ ვალდებულებები		224 632	66 219

საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		952 050	952 050
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		5 138 527	5 972 275
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		1 625 752	1 625 752
სულ საკუთარი კაპიტალი		7 716 329	8 550 077

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7 940 961	8 616 296
---	--	------------------	------------------

დირექტორი
გიორგი კამკამიძემთ. ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი

შპს ნეოლაბი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება / კონსოლიდირებული



2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი		1 931 533	3 426 230
თვითღირებულების ხარჯები	8	(530 827)	(945 360)
მთლიანი მოგება		1 400 706	2 480 870
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(2 236 599)	(2 859 163)
საპროცენტო შემოსავალი		5 260	11 805
არასაოპერაციო შემოსავალი		43 498	96 288
განსაკუთრებული სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(34 750)	(146 615)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(11 863)	(147 638)
მოგება დაბეგვრამდე		(833 748)	(564 454)
მოგების გადასახადი		-	-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		(833 748)	(564 454)



დირექტორი
გიორგი კახიანიძე



მთ. ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი


შპს ნეოლაბი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება / კონსოლიდირებული


2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით


საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	952 050	6 660 568	7 612 619
2022 წლის სრული შემოსავალი		(564 454)	
დივიდენდის განაწილება		(123 839)	
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		1 625 752	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	952 050	7 598 027	8 550 077
2023 წლის სრული შემოსავალი		(833 748)	
დივიდენდის განაწილება		-	
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	952 050	6 764 279	7 716 329



დირექტორი
გიორგი კაკაბაძე




მთ. ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი


შპს ნეოლაბი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება / კონსოლიდირებული


2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომსახურებიდან მიღებული თანხები	1 825 844	3 711 603
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(1 071 669)	(1 422 762)
გადახდილი დივიდენდები	-	(100 000)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(236 938)	(2 567 668)
გადახდილი ავანსები	27 077	97 614
გადახდილი სხვა ხარჯები	(1 705 205)	(1 147 804)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1 160 890)	(1 429 017)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	5 260	11 802
გუდვილი	910 585	910 585
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	915 845	922 387
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა(კლება)	(245 045)	(506 630)
სავალუტო კურსის ეფექტი	(11 730)	(148 230)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	1 009 596	1 664 456
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	752 820	1 009 596



დირექტორი
გიორგი კამკამიძე



მთ. ბუდალერი
ლალი ნადარეიშვილი

შპს „ნეოლაბი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „ნეოლაბი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ნეოლაბი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება / კონსოლიდირებული

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	752 820	1 009 596
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		227 688	292 355
გადახდილი ავანსები	4	27 077	97 614
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	376 496	400 937
სულ მიმდინარე აქტივები		1 384 081	1 800 502
ძირითადი საშუალებები	6	5 646 295	5 905 209
გუდვილი		910 585	910 585
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 556 880	6 815 794
სულ აქტივები		7 940 961	8 616 296
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		211 227	65 796
საგადასახადო ვალდებულებები		11 690	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1 715	423
გადასახდელი დივიდენდი	7	0	0
სულ ვალდებულებები		224 632	66 219
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		952 050	952 050
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		5 138 527	5 972 275
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		1 625 752	1 625 752
სულ საკუთარი კაპიტალი		7 716 329	8 550 077
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7 940 961	8 616 296

დირექტორი
გიორგი კამკამიძე

მთ. ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი

შპს ნეოლაბი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება / კონსოლიდირებული

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი		1 931 533	3 426 230
თვითღირებულების ხარჯები	8	(530 827)	(945 360)
მთლიანი მოგება		1 400 706	2 480 870
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(2 236 599)	(2 859 163)
საპროცენტო შემოსავალი		5 260	11 805
არასაოპერაციო შემოსავალი		43 498	96 288
განსაკუთრებული სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(34 750)	(146 615)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(11 863)	(147 638)
მოგება დაბეგვრამდე		(833 748)	(564 454)
მოგების გადასახადი		-	-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		(833 748)	(564 454)

დირექტორი
გიორგი კამკამიძე

მთ. ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი

შპს ნეოლაბი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება / კონსოლიდირებული

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	952 050	6 660 568	7 612 619
2022 წლის სრული შემოსავალი		(564 454)	
დივიდენდის განაწილება		(123 839)	
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		1 625 752	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	952 050	7 598 027	8 550 077
2023 წლის სრული შემოსავალი		(833 748)	
დივიდენდის განაწილება		-	
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	952 050	6 764 279	7 716 329

დირექტორი
გიორგი კამკამიძე

მთ. ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი

შპს ნეოლაბი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება / კონსოლიდირებული

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომსახურებიდან მიღებული თანხები	1 825 844	3 711 603
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(1 071 669)	(1 422 762)
გადახდილი დივიდენდები	-	(100 000)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(236 938)	(2 567 668)
გადახდილი ავანსები	27 077	97 614
გადახდილი სხვა ხარჯები	(1 705 205)	(1 147 804)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1 160 890)	(1 429 017)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	5 260	11 802
გუდვილი	910 585	910 585
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	915 845	922 387
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა(კლება)	(245 045)	(506 630)
სავალუტო კურსის ეფექტი	(11 730)	(148 230)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	1 009 596	1 664 456
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	752 820	1 009 596

დირექტორი
გიორგი კამკამიძე

მთ. ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნეოლაბი“ დაფუძნებულია 2006 წლის 1 დეკემბერს და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 205184352.

შპს „ნეოლაბი“-ს იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქ., №8. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს სამედიცინო ლაბორატორიულ კვლევებს. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი გიორგი კამკამიძე (ს/კ 01026004588).

2023 წლის 25 აპრილს ცვლილება შევიდა „საზოგადოების“ კაპიტალში და პარტნიორთა წილები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

გიორგი კამკამიძე (ს/კ 01026004588)- 100%

კომპანიამ 2021 წლის 3 ნოემბერს შეიძინა შვილობილი საწარმო, შპს „ნეტკორი“-ს (ს/კ 404499422) 100% წილი.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანია წარმოადგენს საწარმოთა ჯგუფის წევრს, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირებული ხასიათისაა და ეხება შპს „ნეოლაბი“-ს და მის შვილობილ საწარმოს - შპს „ნეტკორი“ ს/კ 404499422 – 100%.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგების- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31.12.2022	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2,7020	2,6894
ლარი/1 ევრო	2,8844	2,9753

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდამოშვებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა	50
მანქანა-დანადგარები	12-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	3-5
სტრანსპორტო საშუალებები	10
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4.

აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

2.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზეწორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში (ლაბორატორიულ კვლევებში) და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

2.5 მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.6 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდის გატანა, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. დივიდენდი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

2.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.8 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.9 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქციტოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს სამედიცინო კვლევებზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო კვლევების განხორციელებასთან. მასალები და ნედლეული თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

2.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

2.12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა

დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, კომუნალურ, სამეურნეო, საკანცელარიო, ცვეთის, სამივლინებო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2.13 კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, ისე რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან.

შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესების წილის მოცულობის მიუხედავად. ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ჰქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივები სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირების ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

გუდვილი

მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღით:

(ა) უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აქტივად;

და

(ბ) თავდაპირველად გუდვილი შეაფასოს თვითღირებულებით, რაც იქნება

საწარმოთა გაერთიანების ღირებულების მეტობის თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იმ იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი უნდა ასახოს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით:

(ა) გუდვილის ამორტიზაცია

თუ შეუძლებელია გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, იგი უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს;

(ბ) გუდვილის გაუფასურების აღიარებასა და შეფასებასთან დაკავშირებით საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს - „აქტივების გაუფასურება“ - მოთხოვნებით.

გუდვილის ცალკე გაყიდვა შესაძლებელი არ არის. გუდვილი სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს საწარმოს ფულად ნაკადებს. ამის გამო, გუდვილის რეალური ღირებულების პირდაპირი შეფასება შეუძლებელია. მაშასადამე, გუდვილის რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულ(ებ)ის რეალური ღირებულების მიხედვით, რომლის შემადგენელ ნაწილიცაა გუდვილი.

გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი, შეძენის თარიღიდან დაწყებული, განაწილდება მყიდველი საწარმოს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ყველა ერთეულზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან, მიუხედავად იმისა, შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები და ვალდებულებები მიკუთვნებულია თუ არა ამ ერთეულებზე.

თუ შეუძლებელია დასაბუთებული საფუძვლით გუდვილის მიკუთვნება ცალკეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულების ჯგუფებზე), მაშინ გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმომ უნდა განსაზღვროს ან:

(ა) მთელი შეძენილი საწარმოს ანაზღაურებადი ღირებულება, თუ გუდვილი მიეკუთვნება შეძენილ საწარმოს, რომლის ინტეგრირება არ მომხდარა (ინტეგრირება გულისხმობს შეძენილი საწარმოს რესტრუქტურისა და მის დანაწევრებას და გაერთიანებას ანგარიშვალდებულ ან სხვა შვილობილ საწარმოებში); ან

(ბ) საწარმოთა მთელი ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება, გარდა იმ

საწარმოებისა, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა, თუ გუდვილი მიეკუთვნება საწარმოს, რომლის ინტეგრირებაც განხორციელდა.

საწარმომ გუდვილი უნდა დაეყოს ნაწილებად: გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია ინტეგრირებულ საწარმოებთან და გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოებთან, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა. ამასთან, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების შესახებ ამ განყოფილებაში მოცემული მოთხოვნები, როდესაც ანგარიშობს შეძენილი საწარმოს, ან საწარმოთა ჯგუფის აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას და მათში შემავალ აქტივებზე ანაწილებს გაუფასურების ზარალსა და მისი აღდგენის (კომპენსირების)თანხებს.

3 განმარტებითი შენიშვნები

3.1 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

შენიშვნა 3

	31.12.2022	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	19 023	13 390
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	984 830	738 092
	1 003 853	751 482
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5 743	1 338
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	1 009 596	752 820

3.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები შედგება დაკავშირებული პირებისგან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები თანხებისგან. თუ მოთხოვნები უკვე აღიარებულია შემოსავლად და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და აისახება სხვა ხარჯებში.

გადახდილი ავანსები შედგება მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებისა და ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხებისგან. ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით და ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

შენიშვნა 4

	31.12.2022	31.12.2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	-
ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები	97 614	27 077
სულ გადახდილი ავანსები	97 614	27 077

3.3 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ლაბორატორიულ კვლევებში.

შენიშვნა 5

	31.12.2022	31.12.2023
ნედლეული და მასალები	396 085	374 002
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4 852	2 494
სულ მარაგები	400 937	376 496

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულება განსაზღვრება ისტორიული ღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა.

შენიშვნა 6

	შენიშვნა	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორ ტი	სხვა მ/საშ.	არამატ. აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება	3 261 328	34 845	181 715	1 324 300	236 303	44 170	51 162	5 133 824
აკუმულირებული ცვეთა	-531 597	-504	-83 446	-681 874	-45 329	-14 880	-21 501	-1 379 131
ბალანსი 31.12.2021	2 729 731	34 341	98 269	642 426	190 974	29 290	29 661	3 754 692
შესყიდვები 2022	407 981	0	52 326	467 316	103 682	3 107	0	1 034 412
ძირ. საშუალების აფასება	1 625 752	0	0	0	0	0	0	1 625 752
რეალიზებული მ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება	0	0	0	0	-92 495	0	0	-92 495
ცვეთა პერიოდისთვის	-100 410	-3 024	-50 863	-222 243	-22 477	-8 515	-9 620	-417 152
ბალანსი 31.12.2022	4 663 053	31 318	99 732	887 499	179 684	23 882	20 041	5 905 209
შესყიდვები 2023	0	0	5 196	194 825	0	33 771	0	233 793
ძირ. საშუალების აფასება	0	0	0	0	0	0	0	0
რეალიზებული მ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება	0	0	0	0	-15 725	0	0	-15 725
ცვეთა პერიოდისთვის	-106 364	-3 024	-56 617	-266 510	-22 503	-12 345	-9 620	-476 982
ბალანსი 31.12.2023	4 556 689	28 294	48 311	815 815	141 456	45 308	10 421	5 646 295

3.4 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

დაკორექტირდა შესადარისი პერიოდის ნაშთები. რაც გამოწვეულია სსიპ საპენსიო სააგენტოში დარიცხული თანხების კორექტირებით. 2020 წლის სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი გაიზარდა 12 ლარით, ხოლო 2021 წლის ნაშთი გაიზარდა 70 ლარით. შესაბამისად სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთები შეადგენს:

	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	211 227	65 796	51 603

3.5 გადასახდელი დივიდენდი

შენიშვნა 7

	2022 წელი	2023 წელი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	0	0
დივიდენდის გამოცხადება	105 263	-
გადახდილი დივიდენდი	(105 263)	-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	0

3.6 შემოსავალი

კომპანიის კონსოლიდირებული შემოსავლები შედგება დაკავშირებული მხარეებისათვის სამედიცინო-ლაბორატორიული კვლევების მიწოდებით და უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავლებისაგან. კომპანიის სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები განთავსდებიან დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. შემოსავლების ანაზღაურების მხრივ კომპანიას მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებები არ გააჩნია.

3.7 თვითღირებულების ხარჯი

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს სამედიცინო კვლევებზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, აგრეთვე მომსახურების ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო კვლევების განხორციელებასთან.

შენიშვნა 8

	31.12.2022	31.12.2023
ნედლეული და მასალები	945 360	530 827
მომსახურების ხარჯი	43 147	8 319
თვითღირებულების ხარჯი	988 507	539 146

3.8 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კონსოლიდირებული საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, კომუნალურ, სამეურნეო-საკანცელარიო, ცვეთის, საგადასახადო, სამივლინებო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა 9

	2022 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	1 422 762	1 071 669
ცვეთა და ამორტიზაცია	417 152	476 982
კომუნალური ხარჯი	120 596	120 062
სამეურნეო ხარჯი	72 643	35 826
სამედიცინო აპარატურის მომსახურება	34 745	32 611
რემონტის ხარჯი	59 953	40 099
რეკლამის ხარჯი	73 783	68 570
დაზღვევის ხარჯი	17 223	20 658
მივლინების ხარჯი	17 633	9 139
საიჯარო ხარჯი	142 700	180 000
ქონების გადასახადი	18 351	27 872
სხვა საერთო ხარჯი	426 207	147 431
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	2 823 749	2 230 918

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საკრედიტო რისკი. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, მათ შორის საკრედიტო რისკთან. საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები გულისხმობს, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს არსებული მოთხოვნების იდენტიფიცირებას და მათი შესაბამისი ფულადი სახსრების მიღებას, რაც განაპირობებს საკრედიტო რისკების მინიმიზაციას.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანია კლიენტის გადახდის უუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 23 აგვისტოს განხორციელდა შპს „ნეოლაბის“ რეოგანიზაცია (შერწყმა), კერძოდ აღნიშნული კომპანიის მიერ თავისის შვილობილი საწარმოს, შპს „ნეტკორის“ (ს/ნ 404499422), შერწყმა (მიერთება).


საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ნეოლაბი“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი კამკამიძე



მთავარი ბუღალტერი
ლალი ნადარეიშვილი

